წერილის ნომერი: **30-302404358**
თარიღი: **12/02/2024**

**ადრესატი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

**ბატონო ბესიკ,**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგეხსენებათ რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2024 წლის 31 იანვრის N5/5046 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი და ძირითადი კატეგორიის უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემად, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ ,,ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა. ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის პოზიციით, აღნიშნული ქონების (ს/კ 27.00.353) სახელმწიფოსთვის გადაცემა არის საჭირო, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მოკლებულია შესაძლებობას უზრუნველყოს ხაზოვანი ობიექტის ოპერირება და მოვლა პატრონობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მოთხოვნილი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხი განიხილოს საკრებულომ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სახელმწიფოს მიერ, მოთხოვნილ დამატებითი კატეგორიის ქონების (ხაზობრივი ობიექტი (ს/კ 27.00.353), კომპლექტური ტრანსპორმატორები და უძრავი ქონება - (ს/კ 27.09.41.139) )

გადაცემასთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია რომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ, სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ განიხილა და არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი დამატებითი კატეგორიის ქონება სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა განკარგულების პროექტი, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

**3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი**

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**4. პროექტის წარმდგენი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

**მუხლი 1.** სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2024 წლის 31 იანვრის N5/5046 მომართვის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, სახელმწიფოს (შემდგომში მის მიერ, მოთხოვნილი ქონების სსიპ ,,ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით) უსასყიდლოდ გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, ელექროგადამცემი ხაზი - 7700 მ. ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი (საყრდენი ბოძი) 156 ცალი (ს/კ 27.00.353);

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, 20.00 კვ.მ. დამატებითი კატეგორიის (,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ” სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 სექტემბრის N1/1-5328 ბრძანება) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.09.41.139);

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონება, კერძოდ 3 ცალი КТП -40-10/0.4 კვ-იანი და ერთი ცალი КТП-100-10/0.4 კვ-იანი კომპლექტური ტრანსფორმატორები.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ბესიკ ტაბიძე**

KA021739437659522

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

# ბრძანება

**N1/1-5328** 16 / სექტემბერი / 2022 წ.

## სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 14.03.2022წ. N30-302207346 და 07.07.2022წ. N30-302218812, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს 29.03.2022წ. N1087, შპს „საქართველოს მელიორაციის“ 06.05.2022წ. Nგ-1386, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის 12.04.2022წ. N272 წერილებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის 19.04.2022წ. N42472, 11.08.2022წ. N93742 და სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის 13.09.2022წ. N107466 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. გადაეცეს საკუთრებაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩიბათში მდებარე 696 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N27.09.41.135) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩიბათში მდებარე 2077 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N27.09.41.134).
2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა №2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

**31 / იანვარი / 2024 წ.**

KA021770082368024

№ **5/5046**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას
სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას"
ასლი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 27.12.2023 წლის N30-302336117 და სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" 29.01.2024 წლის N20008982 წერილების პასუხად, რომლებიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩიბათში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს/კ N27.09.41.139), ხაზოვანი ობიექტის (ელექტროგადამცემი ხაზი) (ს/კ N27.00.353) და მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხს, შემდგომში ზემოხსენებული ქონების სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიასათვის'' სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაცემის მიზნით, გაცნობებთ, რომ სააგენტო წარმოდგენილი კორესპონდენციით მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში იმსჯელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ზემოხსენებული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოცემისა და სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ დაზუსტებული წინადადებების (მოძრავი ქონების ჩამონათვალისა, საიდენტიფიკაციო მონაცემების, გადაცემის ფორმის, თანხის ოდენობის, ვადისა და სხვა პირობების გათვალისწინებით) წარმოდგენის შემდგომ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვოს განიხილოს ზემოხსენებული ქონების, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე